

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია კანონმდებლობაში აისახოს 2020 წლის 17 სექტემბერს ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (Moneyval) კომიტეტის მე-60 პლენარულ სხდომაზე დამტკიცებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მექანიზმების ეფექტურობისა და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან შესაბამისობის საქართველოს მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიშში, ევროპის საბჭოს მიერ მოცემული რეკომენდაციები.

კანონპროექტი ასევე ასწორებს კანონის დღეს მოქმედ რედაქციაში არსებულ ტექნიკურ ხარვეზს.

Moneyval-ის შეფასების ანგარიშში ასახული 29-ე რეკომენდაცია ეხება ფინანსური დაზვერვის სამსახურის ქვეყანაში ფუნქციონირების ასპექტებს. აღნიშნული რეკომენდაციის დასკვნით ნაწილში, საქართველომ მიიღო რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, უნდა შეეძლოს საეჭვო ტრანზაქციების ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურისათვისაც გადაგზავნა, აგრეთვე იმ უწყებებს შორის, რომელთაც ფინანსური მონიტორინგის სამსახურს აქვს კანონით მინიჭებული უფლებამოსილება მიაწოდოს სამსახურის ხელთ არსებული ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურიც უნდა შედიოდეს. გარდა ამისა, ქვეყანამ მიიღო რეკომენდაცია, გაზრდილიყო იმ დანაშაულების სიაც, რომლის შესახებაც საგამომიებო უწყებებს შეუძლიათ ფინანსური მონიტორინგის სამსახურისაგან ინფორმაციის მოთხოვნა.¹

კანონის დღევანდელი რედაქცია არ ითვალისწინებს ზედამხედველი ორგანოების მკაფიო უფლებამოსილებას განსაზღვრონ ელექტრონულად კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის, კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის, აგრეთვე, კლიენტის მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის შესწავლის წესები.

კანონის არსებული რედაქცია შეიცავს ტექნიკურ უზუსტობას, კერძოდ მე-10 მუხლის მე-7 პუნქტი გადამისამართებას აკეთებს 41-ე მუხლის მე-5 პუნქტზე, ნაცვლად მე-4 პუნქტისა.

კანონის არსებული რედაქცია რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშისა და სამოქმედო გეგმის განახლების მინიმალურ დროდ 2 წელს ასახელებს.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

¹ Recommendation 29, weighting and conclusion, გვ.238

<https://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/mer-fsrb/MONEYVAL-Mutual-Evaluation-Georgia-2020.pdf>

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ საექვო ტრანზაქციების საგამომიებო უწყებებში გადაგზავნა, აგრეთვე საგამომიებო უწყების მიერ ფინანსური მონიტორინგის სამსახურისაგან ინფორმაციის მოთხოვნა რეგულირდება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით. გამომდინარე აქედან, Moneyval-ის შეფასების ანგარიშში ასახული რეკომენდაციების გათვალისწინებისათვის, აუცილებელია ამავე კანონის შესაბამის მუხლებში ცვლილების შეტანა.

მსგავსად, საზედამხედველო ორგანოებისათვის მკაფიოდ განსაზღვრული უფლებამოსილების კანონში ჩაწერის მიზანია, ნათელი სამართლებრივი საფუძველი შეიქმნას იმ საზედამხედველო ორგანოებისათვის, რომლებმაც კერძო კანონში მსგავსი უფლებამოსილების შესახებ მკაფიო ჩანაწერი არ აქვთ.

რისკების შეფასებისა და სამოქმედო გეგმის განახლების ვადას განსაზღვრავს კანონი, შესაბამისად, ვადის ცვლილებაც მოითხოვს კანონის შესაბამის მუხლში ცვლილების განხორციელებას.

კანონის მოქმედ რედაქციაში არსებული ტექნიკური ხარვეზის გამოსასწორებლად, აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილების შეტანა.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შემდგომ, გაფართოვდება იმ უწყებათა სია, ვისთვისაც ფინანსური მონიტორინგის სამსახურს შეუძლია საექვო ტრანზაქციის შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის გადაგზავნა, აგრეთვე გაიზრდება სია იმ უწყებებისა, რომლებსაც შეუძლიათ მოითხოვონ ფინანსური მონიტორინგის სამსახურისაგან ინფორმაცია. ფართოვდება აგრეთვე იმ დანაშაულების სიაც, რომლებზედაც ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილება ვრცელდება.

კანონპროექტის მიღების შემდგომ, საზედამხედველო უწყებებს გაუჩნდებათ მკაფიო სამართლებრივი საფუძველი ელექტრონულად კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის, ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის, აგრეთვე კლიენტის მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის შესწავლის წესის მისაღებად.

კანონპროექტის მიღებით, რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშისა და სამოქმედო გეგმის განახლების მინიმალურ ვადად განისაზღვრება 3 წელი ნაცვლად 2 წლისა.

კანონპროექტის მიღების შემდგომ, კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტი გადამისამართებას გააკეთებს ამავე კანონის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით გათვალისწინებული პირველი ცვლილება ეხება რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშისა და სამოქმედო გეგმის განახლების პერიოდულობას. არსებული რედაქციით, რისკების შეფასების ეროვნული ანგარიში უნდა განახლდეს საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ. ახალი რედაქციით სავალდებულო განახლების პერიოდი იზრდება 3 წლამდე. რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების ვალდებულება კანონით პირველად, სწორედ 2019 წელს განისაზღვრა, როდესაც დამტკიცდა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი. თავის მხრივ, რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან შესაბამისობის შეფასებაც, MONEYVAL-ის მეხუთე რაუნდის შეფასების ფარგლებში დაიწყო, მაგალითისათვის, მე-4 რაუნდის შეფასებამი,

რომელიც საქართველოს შემთხვევაში 2012 წელს დამტკიცდა, რისკების შეფასების ეროვნული ანგარიში პირველი რეკომენდაციით სავალდებულო არ იყო. შესაბამისად, კანონის თავდაპირველი რედაქციის მომზადების პროცესში, ჩაითვალა, რომ რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის განახლების 2 წლიანი ვადა გონივრული იქნებოდა. თუმცა, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისა და რისკების შეფასების პირველი დოკუმენტის დამტკიცების შემდგომ, პრაქტიკამ აჩვენა, რომ აღნიშნული პერიოდი ქვეყანაში არსებული რისკების შეცვლისა და შესაბამისად, მისი რისკების შეფასების დოკუმენტში ასახვისათვის მცირეა. რისკების შეფასების დოკუმენტში არსებული დასკვნები ეფუძნება შესაბამისი უწყებების სტრატეგიულ ანალიზს, სტატისტიკურ, მეთოდოლოგიურ მიგნებებსა თუ გამოცდილებებს. აღნიშნული გამოცდილების დასაგროვებლად, კი 3 წლიანი ვადა ქვეყნის გეოგრაფიული, საფინანსო სისტემისა და დღეს არსებული გამოწვევების, ტიპოლოგიების ფონზე, ბევრად რეალისტური და ეფექტურია, ქვეყანაში არსებული რისკების სრული აღქმადობის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, MONEYVAL-ის მე-5 რაუნდის შეფასების ციკლიც დასასრულს უახლოვდება, შესაბამისად, უკვე სხვა ქვეყნების შეფასების ანგარიშების მაგალითებზეც შეიძლება ითქვას, რომ MONEYVAL-ის კომიტეტი რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის განახლების 3 წლიან ვადას სათანადო პერიოდად მიიჩნევს, ამის მაგალითია მე-5 რაუნდის შეფასებები და შემდგომი განახლებები (follow-up) ისეთ ქვეყნებში როგორცაა ალბანეთი, დანია, ფინეთი, ლატვია, უკრაინა, ლიტვა, მალტა, სერბეთი, უკრაინა.

გარდა ამისა, გლობალურმა პანდემიამ, შესაბამისად, ჩაკეტილმა საზღვრებმა და დაწესებულმა შეზღუდვებმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ რისკების შეფასების ეროვნული დოკუმენტის განახლების 2 წლიანი ვადა მცირეა, რადგანაც პანდემიურ პერიოდში, ქვეყანაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა სიტუაცია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის რისკების თვალსაზრისით, რაც რისკების შეფასების ეროვნული დოკუმენტის განახლების საჭიროების საკითხს წამოჭრიდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე ქვეყანაში დაგროვილი გამოცდილებისა და MONEYVAL-ის მიერ სხვა ქვეყნების შეფასების დოკუმენტებზე დაყრდნობით, რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის განახლების გონივრული ვადა არის 3 წელი.

კანონპროექტით გათვალისწინებული მეორე ცვლილება, ასწორებს ტექნიკურ ხარვეზს კანონის დღეს მოქმედ რედაქციაში. კერძოდ, საქართველოს 2021 წლის 30 მარტის №425 კანონით „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ გადაისინჯა კანონის 41-ე მუხლი. შედეგად, იმ პირთა წრე, რომელზეც „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტი მიუთითებს, მოცემულია 41-ე მუხლის მოქმედი რედაქციის მე-4 პუნქტში, ნაცვლად ამავე მუხლის მე-5 პუნქტისა. შემოთავაზებული ცვლილება კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტში, გადამისამართებას აკეთებს კანონის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტზე და არა მე-5 პუნქტზე.

კანონპროექტით გათვალისწინებული მესამე ცვლილება ეხება ზედამხედველი ორგანოებისათვის კანონში უფლებამოსილების მკაფიოდ განსაზღვრას. საზედამხედველო უწყებებს გაუჩნდებათ მკაფიო სამართლებრივი საფუძველი ელექტრონულად კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის, ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის, აგრეთვე კლიენტის მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის შესწავლის წესის მისაღებად.

კანონპროექტით გათვალისწინებული მეოთხე ცვლილება ეხება ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილებების გაზრდას. სამსახური ანალიზებს მიღებულ ინფორმაციას და ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში, ანალიზის შედეგებს უზღავნის საგამომიებო უწყებებს. კანონის არსებული რედაქციით საგამომიებო უწყებები მოიცავს საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, შემოსავლების სამსახურს ანდა შინაგან საქმეთა სამინისტროს. შემოთავაზებული ცვლილებით, უწყებების ჩამონათვალს ემატება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური უფლებამოსილია საქართველოს გენერალური პროკურორის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ან საამისოდ უფლებამოსილი მათი მოადგილეების დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიაწოდოს მის ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია. უწყებების ჩამონათვალს ემატება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური, რა დროსაც ფინანსური მონიტორინგის სამსახურს უნდა მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის უფროსმა ან საამისოდ უფლებამოსილმა პირებმა (მისი მოადგილეები). გარდა ამისა, დღეს მოქმედი რედაქციით, კონფიდენციალური ინფორმაციის (დოკუმენტის), მიწოდების მიზანი არის აუცილებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე, 194¹ ან 331¹ მუხლის ან XXXIII თავის საფუძველზე მიმდინარე გამოძიების მიზნების მისაღწევად. კანონპროექტით გათვალისწინებული მეხუთე ცვლილება, აფართოებს იმ დანაშაულების სიას, რომლის შესახებაც ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილება გავრცელდება. შემოთავაზებული პროექტი მითითებას აკეთებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულებზე და არა კონკრეტულ მუხლებზე.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტი ძალაში შევა გამოქვეყნებისთანავე. კანონპროექტის მიღების შემდგომ, სახელმწიფო უწყებებს არ სჭირდებათ შესაბამისი ღონისძიებების გატარება, კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების მათ ყოველდღიურ საქმიანობაში დასაწერად. შესაბამისად, კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის არჩევა მოხდა ყველაზე ახლო თარიღის შერჩევით. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა მოთხოვნილი არ არის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი).

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას. კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება შესაბამისი სახელმწიფო უწყებების (ფინანსური მონიტორინგის სამსახური, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური) და საზედამხედველო უწყებების არსებული რესურსის ფარგლებში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

საზედამხედველო ორგანოებს მოქმედი კანონით უკვე ევალუაბთ შესაბამისი საზედამხედველო აქტივობების განხორციელება, რაშიც ასევე მოიაზრება აქტების გამოცემის საშუალებით, საზედამხედველო ღონისძიებების გატარება. შესაბამისად, საზედამხედველო ორგანოებს ხარჯვითი ნაწილი არ გაეზრდებათ, კანონპროექტი მხოლოდ აკონკრეტებს სამართლებრივი აქტის სახით, კონკრეტული წესის გამოცემის უფლებამოსილებას.

ხარჯები ასევე არ გაეზრდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური კანონპროექტის მიღების შემდგომ, არსებული პრაქტიკით გააგრძელებს საგამომიებო მოქმედებებს და საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციას გამოითხოვს ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდანაც. ინფორმაციის კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გამოთხოვა უწყებას ისედაც შეუძლია, ახალი დანაწესი მას გაუმარტივებს ინფორმაციის მოთხოვნის პრაქტიკას (არ იქნება სასამართლოს გადაწყვეტილება საჭირო), თუმცა ეს არ გულისხმობს, ინფორმაციის სავალდებულოდ ყოველ საქმეზე გამოთხოვას. შესაბამისად, საგამომიებო სამსახურს არ გაეზრდება ხარჯვითი ნაწილი.

ხარჯები არ გაეზრდება ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, ფინანსური მონიტორინგის სამსახური, დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ფული გათეთრებას ან ტერორიზმის დაფინანსებას, სამართალდამცავ უწყებებს უგზავნის მის ხელთ არსებულ ინფორმაციას. იმ

დანაშაულებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც არის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის კომპეტენცია, საგამოძიებო სამსახური იღებდა საგამოძიებო უწყებებს შორის საქმეების გადანაწილების კანონით განსაზღვრული წესით. შესაბამისად, მაგალითად, თუკი საქართველოს პროკურატურაში ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გადაგზავნილი საქმე, საგამოძიებო უწყებებს შორის საქმეების გადანაწილების განსაზღვრული წესით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს ეკუთვნოდა, საქართველოს პროკურატურა აღნიშნულ საქმეს გამოძიებისათვის გადააგზავნიდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო უწყებაში. კანონპროექტით განსაზღვრული ცვლილება, იძლევა შესაძლებლობას აღნიშნული საქმეების პირდაპირ გადაიგზავნოს საგამოძიებო სამსახურში სხვა საგამოძიებო სამსახურების ჩართვის გარეშე. ხარჯი ასევე არ გაეზრდება ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს, რადგანაც, საგამოძიებო სამსახური ისედაც იძიებს იმ საქმეებს, რომლებიც საგამოძიებო უწყებებს შორის საქმეთა გადანაწილების წესით ექვემდებარება საგამოძიებო სამსახურს.

კანონპროექტით გათვალისწინებული იმ დანაშაულთა სიის გაფართოვება, რაზეც უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლა იქნება შესაძლებელი, ასევე არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გამოყოფას, რადგანაც საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული დღეს მოქმედი კანონის რედაქციით შესაძლებელი იყო სასამართლო განჩინებით.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს ფინანსურ შედეგებს, იმ პირთათვის რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ანგარიშვალდებულ პირებს, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოქმედი რედაქციით, ევალუბათ კლიენტის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია, კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია, აგრეთვე, კლიენტის მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის შესწავლა. შესაბამისად, კანონპროექტი ანგარიშვალდებულ პირებს არ უწყესებს ახალ ვალდებულებებს, გამომდინარე, აქედან, ანგარიშვალდებულ პირებისათვის აღნიშნული კანონპროექტის მიღებას ფინანსური შედეგები არ მოყვება.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს საზედამხედველო ორგანოებისათვის ხარჯების გაზრდას. კანონით განსაზღვრულ საზედამხედველო უწყებებს, თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად, შესაბამისი საზედამხედველო ღონისძიებების გატარება უკვე ევალუბოდათ, რაშიც ასევე იგულისხმება აქტების გამოცემა (მაგალითად, სანქციების დაკისრებისათვის) და რასაც ასევე უკვე აკეთებენ საზედამხედველო ორგანოები.

ანგარიშვალდებული პირების უმეტესობისათვის კანონპროექტით გათვალისწინებული წესი უკვე არსებობს, მაგალითისათვის უმეტესი ფინანსური ინსტიტუტების ზედამხედველი - ეროვნული ბანკი, აღნიშნულს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №189/04 ბრძანებით - „ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურის შესწავლის და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე“. თუმცა, ძირითადად, არასაფინანსო ინსტიტუტები საზედამხედველო ორგანოების ძირითად კანონებში, კონკრეტულად მსგავსი სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილება ცალსახად განსაზღვრული არ არის. ამავდროულად, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი, ანგარიშვალდებულ პირებს ავალდებულებს კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიების გატარებას, თუმცა იგივე კანონი არ აკონკრეტებს თუ რომელი უწყება განსაზღვრავს ელექტრონულად და ბენეფიციარი მესაკუთრის მიერ გასატარებელი იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის ღონისძიებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. სწორედ ამიტომ, საზედამხედველო ორგანოების მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის შესაძლებლობის კანონით გათვალისწინება, გაუმარტივებს საზედამხედველო ორგანოებს საზედამხედველო აქტივობების განხორციელებას, დამატებით ხარჯების გამოყოფის გარეშე, რადგანაც საზედამხედველო აქტივობების განხორციელება (მათ, შორის აქტის გამოცემა) მათ უკვე კანონის მოქმედი რედაქციითაც ევალებათ.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

ბ¹) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება;

წარმოდგენილი კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. კანონპროექტის მიღება ნაწილობრივ დაკავშირებულია საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებულ ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან. შეთანხმების მე-19 მუხლი ითვალისწინებს შესატყვისი სტანდარტების მიღებას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, რომლებიც შეესაბამება ფულის გათეთრებაზე ფინანსური მოქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) და მისი მსგავსი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილ სტანდარტებს. MONEYVAL-ის შეფასების ანგარიში ეფუძნება FATF-ის მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს, შესაბამისად, ანგარიშში გამოთქმული რეკომენდაციების შესრულება გულისხმობს FATF-ის მიერ დანერგილი სტანდარტების აღსრულებას ქვეყანაში.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

სსიპ-საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.